სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „ფაზისი“ განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნაზო წიბლიაშვილი

წევრი:
ირაკლი სალუქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

{ქ. თბილისი 2018 წელი}

I. ინფორმაცია დაწესებულების [illegible]

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ -საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

[redacted] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{ქ. თბილისი 2018 წელი}

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს N733 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი, ჯგუფის წევრი ირაკლი სალუქვაძე) 2018 წლის 16 და 17 აგვისტოს განახორციელა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯში „ფაზისი", არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ფაზისი" 2018 წლის 27 ივლისის MES 1 18 00956562 წერილი ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ელექტროობისა" (მესამე საფეხური) და „ფერმერობა მეთევზეობაში" (მეოთხე საფეხური) (პროგრამებზე არსებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში) განხორციელების სურვილის შესახებ. აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლება დაწესებულებას მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის N41 გადაწყვეტილებით და განესაზღვრათ თითოეულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, კერძოდ ელექტროობაში (მესამე საფეხური) -26 პროფესიული სტუდენტი, ხოლო ფერმერობა მეთევზეობაში (მეოთხე საფეხური) -30 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის განყოფილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა „ელექტროობის" (მესამე საფეხური) და „ფერმერობა მეთევზეობაში" (მეოთხე საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად, რომელიც ბრძანებასთან ერთად წარედგინა დაწესებულებას ვიზიტის დაწყების წინ.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა დაწესებულების ვებ-გვერდი, მატერიალური რესურსი- A, B და C გარემო, პრაქტიკის ბაზა, ბიბლიოთეკა, საევაკუაციო გეგმა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

(ქ. თბილისი 2018 წელი)

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა საწარმოო პრაქტიკის შპს „აისბერგ-2“ ბაზაზე ვიზიტი და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პირთან გასაუბრება. პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირი იცნობს მოდულური პროგრამის განხორციელების სპეციფიკას, ბაზა მზადყოფნაშია პროფესიული სტუდენტების მისაღებად.

ადამიანურ რესურსთან მიმართებაში გადამოწმდა პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, დანიშვნის ბრძანებები და სხვა.

დღის ბოლოს ჯგუფის წევრებს შორის ხდებოდა გაწეული მუშაობის შედეგების შეჯერება.

ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს გაეცნო მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ქ. თბილისი 2018 წელ

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7		
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)		
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და	მუხლი 7 / პუნქტი ვ)		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{ქ. თბილისი 2018 წელი}

	ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:			
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)		
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)		
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	მუხლი 7 / პუნქტი თ)		
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)		
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8		
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	მუხლი 8 / პუნქტი ა)		
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	მუხლი 8 / პუნქტი ბ)		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{ქ. თბილისი 2018 წელი}

3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	მუხლი 8 / პუნქტი გ)	[redacted]	

-IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სოფ. ნოჯიხევში სწავლება არ მიმდინარეობს შესაბამისად არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

{ქ. თბილისი 2018 წელი}

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

➢ *ქვესტანდარტი 2.8. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7. პუნქტი თ))*

<u>რეკომენდებულია</u> განახლდეს ვებ-გვერდი, სასურველია ვებ-გვერდზე იყოს წერილის გასაგზავნი ველი და კალენდარი.

ქვესტანდარტი 2.9. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7. პუნქტი ი))

➢ *<u>რეკომენდებულია</u> სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიო სტრატეგიები, გადაიხედოს ამოცანების შესრულების ინდიკატორები და შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები. მაგ: ერთ-ერთ ამოცანაში პასუხისმგებელი სტრუქტურა არის ინფრასტრუქტურის სააგენტო, დამოუკიდებელი სსიპ, რომელიც ვერ იქნება კოლეჯის სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა.*

ქვესტანდარტი 3.1. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8. პუნქტი ა))

➢ *<u>რეკომენდებულია</u> დაწესებულებამ შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება (ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით კოლეჯში დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 40 საათს 48-ის ნაცვლად). ასახოს პერსონალის ხელშეკრულებებშიც.*

ქვესტანდარტი 3.3. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8. პუნქტი გ))

➢ *<u>რეკომენდებულია</u> დაწესებულებამ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის პროფესიული განათლების მასწავლებლების ხელშეკრულებებში დააკონკრეტოს თუ რომელ მოდულს გაუძღვება ესა თუ ის პროფესიული მასწავლებელი.*

➢ *<u>რეკომენდებულია</u> დაწესებულებამ შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება ასახოს (ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით კოლეჯში დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 40 საათს 48-ის ნაცვლად). პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქ. თბილისი 2018 წელი}

VII. დაწესებულების მისია

საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა ფართო სპექტრის, ქვეყინისა და რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი ტრენინგ კურსების განხორციელება. კოლეჯი განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა, რომელიც ზრუნავს პროფესიული სტუდენტების განათლებაზე და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ფორმალური და არაფორმალური გზით მიღების შესაძლებლობას.

საზოგადოებრივი კოლეჯი, „ფაზისი" პროფესიული სტუდენტებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების შეთავაზების, კომფორტული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის, პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის, საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის სწავლის შედეგების მიღწევის ალტერნატიული შესაძლებლობების უზრუნველყოფის გზით, ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა პროფესიონალურ და პიროვნულ განვითარებას, იმის გააზრებას თუ როგორ შეუძლიათ ეროვნულ და ევროპულ ღირებულებებზე დაყრდნობით, შემოქმედებითად მიუდგნენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და ამ გზით დაიმკვიდრონ ადგილი ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

{ქ. თბილისი 2018 წელი}

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის 2015 წლის 08 ოქტომბრის N[redacted] წერილი-თანხმობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - პროფესიულ კოლეჯს „ფაზისი" უვადო სარგებლობის უფლებით გადაეცა ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევში მდებარე უძრავი ქონებიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი [redacted] N5 და N6 შენობა-ნაგებობი და მათზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი", რაც ასევე დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.
ამჟამად N6 შენობაში მიმდინრეობს სარემონტო სამუშაოები; პროგრამები განხორციელდება N5 შენობაში, შენობა არის ორ სართულიანი საერთო ფართი შეადგენს 915, 29 მ²; სასარგებლო ფართი 554, 21 მ²; დამხმარე ფართი 361,08 მ². ოთახების რაოდენობაა 14;

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ხობის რაიონი, სოფელი ნოჯიხევი	125 159,00კვ.მ.
2	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N54	2559,35 კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი-თანხმობით;
- ✓ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ✓ საექსპლიკაციო გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

{ქ. თბილისი 2018 წელი}

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სოფ. ნოჯიხევში დაწესებულებას გააჩნია პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად ყველა საჭირო რესურსი, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის. დაწესებულების განკარგულებაში არსებული 14 ოთახიდან „ელექტროობა" და „ფერმერობა მეთევზეობაში" მოდულური პროგრამებისთვის გამოყოფილია 5 ოთახი - A, B, A-B, A-C გარემო და უცხო ენის კაბინეტი, თითოეული გარემო აღჭურვილია მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით აგრეთვე პროგრამისთვის საჭირო სათანადო ინვენტარით - მაგიდებით, სკამებით, პროექტორებით, ლეპტოპებით, ეკრანებით და დაფებით.
კერძოდ:

- *B გარემოსთვის გამოყოფილია 54,77 კვ.მ ფართი, სადაც განთავსებულია პროფესიული სტუდენტისათვის განკუთვნილი 20 ლეპტოპი, 20 მაგიდა, 20 სკამი. პროფესიული მასწავლებლისთვის მაგიდა, სკამი, ლეპტოპი. პროექტორი, ეკრანი, დაფა, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი);*

- *„ელექტროობის" პროგამის A-C გარემოსთვის განკუთვლილია ორი ერთმანეთში გამავალი 46,31 კვ.მ და 14, 75 კვ.მ ფართი, პირველ ოთახში განთავსებულია პროფესიული სტუდენტისათვის განკუთვნილი 10 ლეპტოპი, რომელშიც ჩატვირთულია ელექტროობის ვირტუალური ლაბორატორიის პროგრამა, 20 მაგიდა, 20 სკამი. პროფესიული მასწავლებლისთვის მაგიდა, სკამი, ლეპტოპი. პროექტორი, ეკრანი, დაფა, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი), მეორე ოთახში განთავსებულია პროგრამისთვის განკუთვნილი ტექნიკური აღჭურვილობა: სტენდები, გენერატორები, სპეცტანსაცმელი, მულტიმეტრი, ვოლტმეტრი და პრაქტიკისთვის აუცილებელი სხვა აღჭურვილობა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

(ქ. თბილისი 2018 წელი)

- „ფერმერობა მეთევზეობაში“ პროგრამის A-B გარემოსთვის გამოყოფილია 65,73 კვ.მ ფართის ოთახი, რომელშიც განთავსებულია პროფესიული სტუდენტისათვის განკუთვნილი 15 ლეპტოპი, 30 მაგიდა, 30 სკამი. პროფესიული მასწავლებლისთვის მაგიდა, სკამი, ლეპტოპი. პროექტორი, ეკრანი, დაფა, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი);

- ინგლისური ენის კაბინეტისთვის გამოყოფილია 29,79 კვ.მ ფართის ოთახი, რომელშიც განთავსებულია პროფესიული სტუდენტისათვის განკუთვნილი 7 ლეპტოპი, 7 ყურსასმენი, 18 მაგიდა, 18 სკამი. პროფესიული მასწავლებლისთვის მაგიდა, სკამი, ლეპტოპი. დინამიკები, პროექტორი, ეკრანი, დაფა, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი);

- A გარემო რომელშიც განთავსებულია პროფესიული სტუდენტისათვის განკუთვნილი 20 მაგიდა, 20 სკამი. პროფესიული მასწავლებლისთვის მაგიდა, სკამი, ლეპტოპი. პროექტორი. პრინტერი.

მთლიანობაში კოლეჯს აღნიშნული პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი აქვს: პროფესიული სტუდენტებისათვის 108 მაგიდა და სკამი და პროფესიული მასწავლებლისათვის 5 მაგიდა და სკამი.
75 ლეპტოპიდან - 10 ლეპტოპი ადმინისტაციისთვისაა განკუთვნილი, 5 პროფესიული მასწავლებლითვის, 3 ბიბლიოთეკისთვის, 5 სამკითხველო/სააქტო დარბაზისთვის, 52 პროფესიული სტუდენტებისათვის.
4 კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი), 1 პრინტერი და 5 პროექტორი ასევე განკუთვნილია სასწავლო გარემოეებისთვის. 2 კომბაინი განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის, 1 კომბაინი ბიბლიოთეკისთვის.
7 პროექტორის ეკრანი;

ტექნიკური აღჭურვილობა დაწესებულებას გათვლილი აქვს 15-15 სტუდენტზე, სურვილი აქვთ ხობის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნოჯიხევში „ელექტროობის“ პროგრამაზე მიიღონ 13, ხოლო პროგრამაზე „ფერმერობა მეთევზეობაში“ -15 პროფესიული სტუდენტი.

არსებულ რესურსებზე არსებობს შესყიდვების დოკუმენტაცია, რომლებიც წარმოადგინა ადმინისტრაციამ და შემოწმდა ვიზუალურად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

{ქ. თბილისი 2018 წელი}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ *ინვენტარის შეძენის დოკუმენტაციით;*
- ✓ *მიღება-ჩაბარების აქტებით;*
- ✓ *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სოფ. ნოჯიხევში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო: ყველა აუდიტორიაში არის ბუნებრივი განათების საშუალება, აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, დაწესებულებას სს „ენერგო-პრო-ჯორჯიასთან" გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, მინიჭებული აქვს აბონენტის ნომერი [redacted] და ყოველთვიურად ხდება გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა.

დაწესებულებას გააჩნია სველი წერტილები, რომელიც მდებარეობს ეზოში სასწავლო კორპუსის გარეთ ცალკე მდგომ კაპიტალურ შენობაში, არის მოწესრიგებული, უზრუნველყოფილია წყალგაყვანილობით, დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები. დაწესებულებას შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან" გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, მინიჭებული აქვს აბონენტის ნომერი [redacted] და ყოველთვიურად იხდის დარიცხულ გადასახადს;

კოლეჯი გაზიფიცირებულია, გაყვანილია ცენტრალური გათბობა. გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს სოკარ ჯორჯია გაზთან, მინიჭებული აქვს აბონენტის ნომერი [redacted]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{ქ. თბილისი 2018 წელი}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ *ვიზუალური დათვალიერებით;*
- ✓ *წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით და ხელშეკრულებებით;*

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სოფ. ნოჯიხევში სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისის" ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური ისე ეექტრონულ მატარებელზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულია 186 ერთეული წიგნი;

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შერჩევითად იქნა გადამოწმებული მოდულში მითითებული ლიტერატურა.

მოდულის „სამუშაო გარემოს ორგანიზება თევზის გადამუშავებაში" ერთ-ერთი წიგნი „რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე. პრაქტიკული სახელმძღვანელო. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია. 2015 წ" არ აღმოჩნდა ადგილზე, თუმცა ვიზიტის პერიოდშივე იქნა ელექტრონული ვერსია მოძიებული, ამობეჭდილი და გატარდა საბიბლიოთეკო წესით.

ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დირექტორის ბრძ. N03/14 31.07.2018წ, ბიბლიოთეკას შეთავსებით ემსახურება სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, ბრძანებით დანიშნული პირი, რომელიც კვალიფიკაციით არის ბიბლიოთეკარი; ბიბლიოთეკარის მოვალეობები და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. N 01/111; 16.11.2017წ. (დანართი 4)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

{ქ. თბილისი 2018 წელი}

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში გაპარული იყო ტექნიკური შეცდომა „პროფესიული სტუდენტის" ნაცვლად ეწერა „საზოგადოებრივი სტუდენტი", რაც ადგილზევე ჩასწორდა.

ბიბლიოთეკაში არის 3 კომპიუტერი, 2 მაგიდა, 3 სკამი, გააჩნია ბუნებრივი განათება. კოლეჯს აქვს სამკითხველო დარბაზი, რომელიც ასევე გამოიყენება სააქტო დარბაზადაც, მასში განთავსებულია 4 – ოთხ ადგილიანი მაგიდა, 8-ერთ ადგილიანი მაგიდა , 5 ლეპტოპი და 40 სკამი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროგრამებით;
- ✓ საბიბლიოთეკო რესურსების ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ წიგნების ფლობის დოკუმენტებით, მიღება ჩაბარების აქტებით;
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სოფ. ნოჯიხევში სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯს „ფაზისი" სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი აქვს 75 ლეპტოპი, 7 კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი), 1 პრინტერი, სასწავლო პროცესის წარმართვისა და კოლეჯის მართვისათვის ადმინისტრაციას გამოყოფილი აქვს 2 კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი) რომლებიც განთავსებული არიან სამასწავლებლოში და ადმინისტრაციის ოთახში, დანარჩენი ტექნიკა გადანაწილებულია პროფესიული სტუდენტებისათვის გამოყოფილ სასწავლო აუდიტორიაში, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ თანამშრომლებსა და სტუდენტებს საჭიროებისამებრ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ელექტროობის მოდულური პროგამისთვის განკუთვნილ კომპიუტერებში ჩაწერილია ვირტუალური ლაბორატორია ელექტროობაში.

დაწესებულება უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით და ხელშეკრულების (N 163. 2018 წლის 9 აგვისტო) საფუძველზე ელოდება მაგთიკომის ინტერნეტში ჩართვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ხელშეკრულებით (ბრძ. N163; 2018 წ. 9 აგვისტო) მაგთიკომის ინტერნეტ-მომსახურების შესახებ;
- ✓ ტექნიკაზე მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გააჩნია საქმისწარმოების ერთიანი წესი დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძ. N 01/111; 10.11. 2017წ. ცვლ. ბრძ.N01/61; 15.08.2018წ. რომლის შესაბამისადაც სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „ფაზისი" მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, კოლეჯი დოკუმეტბრუნვას ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანების შესაბამისად- eflow სისტემის გამოიყენებით. დაწესებულება აწარმოებს ასევე ბრძანებების რეგისტრაციის, შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის, ხელშეკრულებების (პერსონალის, პროფესიული სტუდენტების და სხვა) და მემორანდუმების გატარების ჟურნალს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

{ქ. თბილისი 2018 წელი}

დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით სოფ. ნოჯიხევში უზრუნველყოფილი იქნება საქმისწარმოების ერთიანი მიდგომის გამოყენება; სოფელ ნოჯიხევის განყოფილებას ამ ეტაპზე ჯერ-ჯერობით არაა აქვს წვდომა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემასთან (eflow), დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სწავლის დაწყებამდე საკითხი მოწესრიგდება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საქმისწარმიების ერთიანი წესით;
- ✓ ჟურნალებით;

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სოფ. ნოჯიხევში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა:

ა-დ) დაწესებულებაში დამტკიცებულია შრომის დაცვა და ტექნიკური უსაფრთხოება ბრძ. N 01/111; 10.11. 2017წ. ცვლ. ბრძ.N01/61; 15.08.2018წ. სადაც სრულად და მკაფიოდაა გაწერილი წესრიგის დაცვის უსაფრთოების პროცედურები, პასუხისმგებლობები და საგანგებო/კრიზისული სიტუაციების გეგმა.

ცეცხლმაქრები ვარგისია 2020 წლამდე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{ქ. თბილისი 2018 წელი}

გ) შენობის ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და გეგმის მიხედვით მითითებულ ადგილებზე დამაგრებულია ხელის ცეცხლმაქრები; ელექტროობის პროგრამისთვის განკუთვნილ გარემოშიც ასევე განთავსებულია ხელის ცეცხლმაქრი; დაწესებულებაში დამონტაჟებულია ასევე გაგნაშის სიგნალები, დაწესებულების მფლობელობაშია 8 ცეცხლმაქრი, 4 საევაკუაციო გეგმა, 1 სახანძრო დაფა;

გ) დაწესებულებაში დამტკიცებული სამედიცინო დახმარების მექანიზმი ბრძ. N 01/111; 10.11. 2017წ. ცვლ. ბრძ.N01/61; 15.08.2018წ. რომელშიც სრულად და მკაფიოდაა გაწერილი სამედიცინო დახმარების მექანიზმები. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად კოლეჯში არსებობს მედდის ოთახი, რომელიც აღჭურვილია პაციენტის გასასინჯი სკამით, სამანიპულაციო მაგიდით, საკაცით, სამედიცინო კარადებით, სამედიცინო ინსტრუმენტების მაგიდით, ტექნიკური საშუალებების ტუმბოთი, მედიკამენტების მაცივრით და სხვა ინვენტარით. მედდის ოთახი უზრუნველყოფილია ცხელი და ცივი წყლით; ასევე ყველა ოთახში განთავსეულია სამედიცინო დახმარების ყუთი; ყველა მედიკამენტს აქვს ვარგისიანობის ვადა; მედდის კვალიფიკაციის მქონე პირთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება N 26; 03.08.2018წ. დაწესებულებაში არის 10 პირველადი დახმარების ყუთი;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ *შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტით;*
- ✓ *მიღება-ჩაბარების აქტებით;*
- ✓ *ევაკუაციის გეგმით;*
- ✓ *სამედიცინო დახმარების მექანიზმით;*
- ✓ *დაცვის თანამშომელთან გაფორმებული ხელშეკრულებით.*
- ✓ *მედდასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებით;*
- ✓ *ცეცხლმაქრებით;*
- ✓ *ვიზუალური დათვალიერებით;*

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

(ქ. თბილისი 2018 წელი)

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სოფ. ნოჯიხევში დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, შენობაში შესასვლელად და გადასაადგილებლად კოლეჯში არსებობს პანდუსები, მოწყობილია 2 სველი წერტილი, რომლებიც აღჭურვილია სპეციალური სახელურებით, რომელთა დახმარებითაც სსსმ პირებს შეეძლებათ სველი წერტილის გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდი - www.phazisi.edu.ge ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისამართი, ელ.ფოსტა, ტელეფონი, ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) მისამართი;

ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ისტორია, მისია, მარეგულირებელი დოკუმენტები, კატალოგი, სტრუქტურა (ორგანოგრამა); განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ. თბილისი 2018 წელი)

განხორციელებული აქტივობების, საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალის, პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, ასევე სტრატეგიული (2018-2023) და სამოქმედო (2018 წ) გეგმები, 2018 წ სამოქმედო გეგმის (6 თვის საანგარიშო პერიოდი) შესრულების ანალიზი.

მიმდინარეობს ვებ გვერდის პერიოდული განახლება. ბოლო სიახლე განთავსებულია 2018 წლის 8 აგვისტოს.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ვებ-გვერდის განახლების შესახებ, სასურველია ვებ-გვერდზე იყოს წერილის გასაგზავნი ველი და კალენდარი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვებ გვერდი - *www.phazisi.edu.ge*

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს 6 წლიანი(2018-2023წ.წ.) სტრატეგიული და 2018წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომელებიც თავსებადია მისიასთან, გეგმები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2017 წ. 29 დეკემბრის ბრძ.N 01/133; სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება მისი მიზნების მიღწევას, გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა/ხელშეწყობა.

დაწესებულებას აქვს ასევე 2018 წლის 6 თვის სამოქმედო გეგმის ანგარიში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{ქ. თბილისი 2018 წელი}

სტრატეგიული გეგმაში- სტრატეგიული მიზანი N3-ინფრასტრუქტურის განვითარება, ამოცანა 1 და ამოცანა 2 რომელიც შეეხება ნოჯიხევის სასწავლო შენობების რეაბილიტაციას პასუხისმგებელ სტრუქტურად განსაზღვრულია „ინფრასტრუქტურის სააგენტო", სასურველია კოლეჯის სტრუქტურიდან გამოიყოს პასუხისმგებელი სტრუქტურა რომელსაც კომუნიკაცია ექნება ინფრასტრუტურის სააგენტოსთან, როლო ინფრასტრუქტურის სააგენტო არასაკმარისი დაფინანსების ან დაფინანსებაზე უარის თქმის რისკით გადატანილი იყოს რისკების გრაფაში, რადგან დამოუკიდებელი სსიპ ვერ იქნება კოლეჯის სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე პარუხისმგებელი სტრუქტურა;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ მისიით;
- ✓ 2018-2023 წ.წ. სტრატეგიული გეგმით;
- ✓ 2018 წ სამოქმედო გეგმით;
- ✓ 2018 წლის 6 თვიანი პერიოდის ანგარიშით;
- ✓ დირექტორის 2017 წ. 29 დეკემბრის ბრძ.N 01/133;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

(ქ. თბილისი 2018 წელი)

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ადმინისტრაციული, პროფესიული მასწავლებლების და დამხმარე პერსონალის დოკუმენტაცია, დაწესებულებას ადგილზე ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში ყავს სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, რომელიც პარალელურად ითავსებს ბიბლიოთეკარის ფუნქციებსაც, ყავს მედდა, ორი დამლაგებელი და ორი დარაჯი, ექსპერტების მიერ გადამოწმებული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეები, დანიშვნის ბრძანებები, ხელშეკრულებები.

დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, რაც დასტურდება პირადი საქმეებით;

დაწესებულების შრომის შინაგანაწესის (დამტკ. 01.08.2017 წ. ბრძ.N01/62) მუხლი 3. სამუშაო შესვენებისა და დასვენების დრო. 3.5 ქვეპუნქტი და მუხლი 18. შრომის ანაზღაურება და დაქვითვა; პუნქტი 18.3. მოიცავს ერთნაირ ჩანაწერს „ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით კოლეჯში დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 48 საათს", რაც ასევე გადატანილია პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

დაწესებულების იურისტმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ ჩანაწერის გაკეთებისას ხელმძღვანელობდა შრომის კოდექსის მე-14 მუხლის (სამუშაო დროის ხანგრძლივობა) პუნქტი 1-ით, ვინაიდან სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოებისთვის განკუთვნილ ჩამონათვალში არსებობს პროფესიული განათლება, თუმცა ვიზიტის პერიოდში 17 აგვისტოს 2018 წლის ბრძ.N01/62-ით შეტანილი იქნა ცვლილება კოლეჯის დირექტორის ბრძანებასა და კოლეჯის შინაგანაწესში და აღნიშნული პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით კოლეჯში დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 40 საათს". (დანართი 2)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ. თბილისი 2018 წელი)

დაწესებულების პერსონალი შრომის შინაგანაწესში ცვლილებებს ეცნობიან „eflow"-ს მეშვეობით და ხელს აწერენ გაცნობის ფურცელზე.

დაწესებულებამ სასურველია შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება ასახოს ასევე პერსონალის ხელშეკრულებებშიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პერსონალის პირადი საქმეებით.*
- *ხელშეკრულებებით;*
- *შრომის შინაგანაწესით;*
- *ბრძანებით ცვლილების შესახებ;*
- *ინტერვიურებით;*

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში პროფესიული პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმხორციელებლ პირებთან რის საფუძველზეც ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ.

სოფელ ნოჯიხევის გაზაზე არ ირიცხება არც ერთი აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი.
პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობაა-0/17.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

{ქ. თბილისი 2018 წელი}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ *პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით;*
- ✓ *გასაუბრებით.*

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში პესრონალის შერჩევა ხორციელდება, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „ფაზისი" პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციის, დამხმარე და მომსახურე პერსონალის შერჩევის წესის (დამტკ. 2017 წლის 28 თებერვლის ბრძ. N 01/18) შესაბამისად. დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, დანიშვნის ბრძანებები. პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია შეთანხმება/ წინარე ხელშეკრულება- /შრომითი ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროფესიულ მასწავლებლებთან რომლებიც უკვე მუშაობენ ქ. ფოთის სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „ფაზისი" გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები და დამატებით შეთანხმება სოფ. ნოჯიხევში მოდულების განხორციელების შესახებ. ხოლო დანარჩენ პროფესიულ მასწავლებლებთან დადებულია წინარე ხელშეკრულებები.
ხელშეკრულება მოიცავს ყველა არსებით პირობას.

დაწესებულების შრომის შინაგანაწესის (დამტკ. 01.08.2017 წ. ბრძ.N01/62) მუხლი 3. სამუშაო შესვენებისა და დასვენების დრო. 3.5 ქვეპუნქტი და მუხლი 18. შრომის ანაზღაურება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქ. თბილისი 2018 წელი)

დაქვითვა; პუნქტი 18.3. მოიცავს ერთნაირ ჩანაწერს „ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით კოლეჯში დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 48 საათს", რაც ასევე გადატანილია პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. (დანართი 2)

დაწესებულებამ სასურველია შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება ასახოს ასევე პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც და მიეცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლების ხელშეკრულებებში დააკონკრეტოს თუ რომელ მოდულს გაუძღვება ესა თუ ის პროფესიული მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შრომის შინაგანაწესით;*
- *პროფ. მასწავლებლების პირადი საქმეებით.*
- *ხელშეკრულებებით/შეთანხებებით/წინარე ხწლშეკრულებებით;*

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ. თბილისი 2018 წელი)

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის ოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის /საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ელექტროობა	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	56	71	ქართული	ფოთი. კონსტიტუციის ქ.54; ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ ნოჯიხევი	0 0	13 13
2	ფერმერობა მეთევზეობაში	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364	105	135	ქართული	ფოთი. კონსტიტუციის ქ.54; ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ ნოჯიხევი	15 0	15 15

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - 2 ფურცლად;
დანართი 2. 2018 წ.17 აგვისტოს ბრძანება N 01/62 შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ - 20 ფურცლად;
დანართი 3. შრომითი ხელშეკრულება (პროფესიული მასწავლებელი)-4 ფურცელი;
დანარტი 4. 15.08.2018 წლის ბრძანება N01/61; 2017 წლის 16 ნოემბრის N01/111 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ - 4 ფურცლად;

29.08.2018 г.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ. თბილისი 2018 წელი)